ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1137211

ნომერი: AR1198861

თარიღი : 21.02.2014

გაცემის თარიღი : 11.03.2014

გაცნობის თარიღი : 11.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ბიბილეიშვილი პ/ნ 01030006895
- თბილისი მანგლისის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1198861 21.02.2014წ. განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის შესახვევი #12–ში, კორპუსის წითელ ხაზებში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი#01.13.01.004.084) ექვსი ავტოფარეხის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემას გაცნობებთ, რომ მშენებლობა შესაძლებელია თუ ავტოფარეხი მდებარეობს რიგში აშენებულ ავტოფარეხებს შორის ან რელიეფში შეჭრით, შემდეგი პირობით:

`ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საცხოვრებელი ზონების ცალკეულ ქვეზონებში სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდირებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწისქვეშა ავტოსადგომები). მე-3 პუნქტის თანახმად კი სისტემურად მოწყობილ (ჩამოყალიბებულ) ავტოფარეხებს შორის დარჩენილი ცარიელი სივრცე შესაძლებელია შეივსოს მსუბუქი კონსტრუქციის დროებითი შენობა-ნაგებობით. დროებითი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს სამი წლით, რომლის ამოწურვის შემდეგაც დროებითი შენობა-ნაგებობა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის პირველივე მოთხოვნისთანავე ექვემდებარება დემონტაჟს..

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით თქვენ მიერ მოთხოვნილ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება სისტემურად ჩამოყალიბებული ავტოფარეხების რიგი. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ ადგილას ავტოფარეხების განთავსება, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.